№ 831 სამშაბათი, 2 ივნისი. 1896–1899 სამშაბათი, 2 ივნისი № 831

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10–3 საათამდე და სადამოს 6–7
ან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ყოველ თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 3 მან. 50 კაპ.

## ახალი წიგნი

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა იოსებ იმედაშვილის გამოცემა, № 12,

რუსეთის მგოსანი

## ა. ს. პუშკინი

მისი ცხოვრება და ლექსები

(1799—ასწლოვანი—1899)

შედგენილი ი. წინამძღვარისაგან. წიგნს დართული აქვს პუშკინის სურათი (შიგნით და ყდაზე), მოთავსებულია შიგ: ა. ს. პუშკინი, (ბიოგრაფიული წერილი), წვრილი ლექსები, მეზღვური და ოქროს თევზი. და სხ. შეიცავს 64 გვ. და ღირს 10 კაპ.

ვინც ნაღდათ იყიდის ამ წიგნზე მეტს, მანეთზედ 20 % დაიკლდება. გაიგზავნება ფას-დადებითაც. ჩვენის ხარჯითაც მსურველთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ Книжная торговля І. З. Имедашвили. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, გოლოვინის ქუჩაზე. (5—5)

## ვ. ჭუჭიას სტამბა

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია.

## ორთქლით მომუშავე სტამბა ექვთიმე ი. ხელაძისა

სტამბა · ტელეფონი 648. · სტამბა · ტელეფონი 648.

ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკლ. ახლ შენობაში.

(არსებობს 1873 წლიდამ).

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე ბეჭდავი მანქანა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელი ქარხნიდამ (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით ასრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ადგილობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასათ. ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—34)

დაიბეჭდა და იყიდება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

თხზულებანი
## ა. ს. პუშკინისა

ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით
ფასი 50 კაპ.

## ექიმი
ყ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და სადამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

გამოვიდა და იყიდება
ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებსა და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამის

## მარინესი

მეორედ გამოცემული მღვდლის რაჟდენ ბარამასისა.

ფასი ერთი შაური. (10—3)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ა. გერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კობანი. თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის. თვის. სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია

Лѣчебница С. Б. Топурія въ Кутаисѣ

# ახალი ამბავი

*** დღეს 1 მაისს ნიკიტინის ცირკის შენობაში გამართული იქნება სცენის მოყვარეთაგან ქართული წარმოდგენა. ითამაშებენ ვ. გუნიას დრამას: „და-ძმას".

*** პარკების სართქლიანე ფეჩება. რადგანაც წელს ძლიერ ძვირად დაუჯდა მეაბრეშუმეებს პარკების მოწევა ქუთაისის გუბერნიაში და მყიდველები კი შედარებით ნაკლებ ფასებს იძლევიან, მაგ. ფუთზე 10—12 მანეთამდე, ბევრმა მათგანმა განიზრახა გამოახჩოს პარკებში ჭიები, რომ პეპლები არ გამოვიდეს და დაუცადონ ფასების აწევას, მაგრამ საუბედუროდ ბევრს მათგანს საშუალება არა აქვს აასრულოს თავისი განზრახვა პარკების სახჩობ ფეჩების უქონლობის გამო. ერთმა მდიდარმა მემამულემ დ. ი. ჩხიფეის შვილმა მოისურვა დახმარება გააწყოს ამ მხრივ მეაბრეშუმეებს და გააშენა თავის ხარჯით დ. ხონში მანთხოვეში და ს. დიდჯიხაიში სახჩობი ფეჩები იმ მიზნით, რომ უსასყიდლოთ დაუხჩოს მეაბრეშუმეებს ნედლი პარკები.

*** საინტერესო ხბო. ჩვენ გვწერენ დ. აბაშიდან, რომ იქაურ მცხოვრებს ისიდორ კაჭარავას აგერ ერთი წელიწადია, ყოლია ისეთი ხბო, რომ საოცარ სანახავს წარმოადგენს: საშარდე თავის ადგილას არა აქვს, ასე რომ დიდათ საინტერესო სანახავია და, სასურველია რომელიმე მუზეუმის პატრონი შეიძინდეს ამ ბუნების მაგალითს. თვითონ ხბო მშვენიერი სანახავია და ხნით ერთი წლის არის. მსურველს შეუძლია დაბა აბაშაში მობრძანდეს.

*** პარკების საწონი საზოგადო სასწორები და ბაზრები ქუთაისის გუბერნიაში. ყველან უწყის,

რომ ჩვენში ძლიერ გლახა ნიადაგზეა დამყარებული საზოგადოდ ყველა სასოფლო ნაწარმოების წონის საქმე და განსაკუთრებით პარკებისა და სხვა მეაბრეშუმეობის ნაწარმოებისა. აბრეშუმი იმისთანა რამ ძვირ-ფასი საქონელია, რომ მისხლობით უნდა იწონებოდეს და არა ქილებითა და ბათმნებით იწონებოდეს როგორც მაგ. ჩვენში შემოღებული. საზღვარ გარეთ, სადაც კი მეაბრეშუმეობას მისდევენ მცხოვრებლები, მეაბრეშუმეობის ნაწარმოებების პარკების ძაფის და სხვა სახელმწიფო და საზოგადო სასწორებზე იწონება ცალკე კომისიის მიერ, რომელიც არც არის მყიდველი და არც გამყიდველია, ასე რომ არავითარი ინტერესი არა აქვს ამ კომისიას, მიუდგეს მყიდველს ან გამყიდველს, ეს კომისია ასრულებს, მხოლოდ მედიატორების როლს ამ გვარი საზოგადო სასწორები და ბაზრის დაარსება განიზრახა შარშან კავკასიის მეაბრეშუმე სადგურის მეაბრეშუმემ იოს. ქუთათელაძემ დ. ხონში და მართლაც როგორც უკვე ვაცნობეთ, შარშან „ცნობის ფურცლის" მკითხველებს დ. ხონში დაარსებული იყო ადგილობრივ ინტელიგენთა დახმარებით ზემოხსენებული სასწორი. აქ ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ იმ პირთა სია, ვინც ამ დიდათ სასარგებლო ახალ საქმეს ღვაწლი დასდეს და რამოდენიმე თავისუფალი დღე შესწირეს მას. პროვიზორ დავ. ვ. გლუბაკოვი; სტუდენტი. პ. გ. მდივანი; კერ. კოს. ქაფთარაძე, მთ. დ სევ. ჩხენკელი; მასწ. ე. ი. ცაგარეიშვილი, სტუდ. ის. პ ქუთათელაძე, სტუდ. იოს. ზ. მაყაშვილი: აქციების მორ. ი. ტ. ისტომინი; სემინარიის მასწავლებლები- ვ. ა. ოტრაშკევიჩი. ტ. ტაბუკაშვილი, ვ. მ. მებუკე მოსწავ. სემინარიელები ბერიძე, ქუთათელაძე ილია, წერეთელი, ბახტაძე; გიმნაზიელები, ივ. ივ. ქუთათელაძე, ალ. ქუთათელაძე, კ. მდივანი, და სხვა. წელს სხვა ალაგებშიაც იქმნა დაარსებული მთავრობის მიერ ეგრეთი საზოგადო სასწორები მაგ.. დ. ხონში, დ. სამტრედიაში, ს. ვანში, ს. დიდი ჯიხაიში, ქ. ქუთაისში, დ. აბაშაში, დ. ახალსენაკში, ს. მარტვილში, (ნოღალევში), დ. ხობაში, დ. ზუგდიდში და ს. ჯალენჯიხაში, დ. ლანჩხუთში, ჩოხატაურში და ოზურგეთში. ყველა ზემოხსენებულ ალაგებში პარკების მწონელ კომისიებია ამორჩეული სტუდენტებისაგან, მღვდლებისაგან, კერძო პირებისაგან, მირავთი პოსრედნიკისაგან, (დ. ხობში), ხარკის მკრეფი ინსპექტორისაგან და სხ. სასურველია, რომ ყველა მეაბრეშუმეებმა მიიტანონ თავიანთი პარკები ამ ბაზრებში და იქვე გაჰყიდონ კომისიების დახმარებით.

** ყაზახებთა თავგასულობა და დარაჯნი რკინის გზის ლიანდაგზე. დიდიხანია მას აქეთ, რაც რკინის გზის ლიანდაგზე არის „ყარაულობა" დაარსებული. თუმცალა ეს არ ვიცით, რომ მათ ჯამაგირი ეძლევათ ვისიმედან თუ არა, მაგრამ „ყარაულობა" მაინც აქვთ დავალებული, და სახელად კიდევაც ასრულებენ მოვალეობას, მაგრამ საქმით ასრულება კი ღმერთმან აშოროთ. სხვათა შორის სადგურთ თბილისისა და ნავთლუხს შუა რიცხვით უმეტესი „ყარაულები" არიან ვინემ სხვაგან, მაგრამ როცა საღამო ჟამზე მზე დააწევს ჩასასვლელად შემდეგ ერთ მათგანსაც ვერ ნახავთ გავლილს ლიანდაგის მახლობლად, სადაც ღამით უფრო დიდი მარცხი ხდება: კაკის სიკვდილი მატარებლებისაგან, თან ქურდობა, რკინის გზის მოსამსახურეების გაძარცვა, ვაგონების გატეხა და სხვა ამისთანა უბედურობები, ვიდრე დღისით; დილაობით როცა მზის შუქი მოეფინება ქვეყანას გამოვლენ ზ. დარაჯები ლიანდაგის მახლობლად, დაჯდებიან მწვანე მოლზე და ბაასობენ საღამომდის უსაქმუროდ, აქცევენ ყურადღებას ვითომ იმას, რომ კაცმა არავინ გადაიაროს ლიანდაგზეო, მაგრამ თუ ვინმეს რომელიმე მათგანისათვის ოდესმე ერთი ფიალა არაყი დაულევინებია, ან ცუდი საქმის ჩამდენი კაციც რომ იყოს მასაც არ უშლიან მგზავრობას და თუ პატივისცემა არ მიუძღვის მათთან ისე მოსამსახურე კაცსაც არ უშვებენ, რაც უნდა ახლო ცხოვრობდეს რკინის გზის სადგურთან და მიდიოდეს იმავე სადგურში მსახურისათვის ფორმის ტანისამოსით ჩაცმული, აუტეხენ ჩხუბს და დააბრუნებენ უკან, რომელმაც უნდა მოიაროს 2—3 ვერ. სიშორეზე თუგინდ დაგვიანებულიც რომ იყოს რაიმე შემთხვევის მიზეზით და ვერ ასწრებდეს თავის სამსახურს. დანარჩენ ადგილებზე ღამით კი არა დღისითაც ვინ დარაჯობს, თორე ღამე რათ შეიწუხებენ თავს! ნამეტურ ნათლულიდან დაწყებული (ვიდრე) ბაქომდე, სადაც უმეტესი უბედურობა ხდება თათრებისაგან, ვიდრე სხვაგან. ამ მდგომარე მაისის 25 საღამოს 10 საათს და 30 წუთს სადგურ ნავთლუღსა და აგტაგლიას შუა შამოღმართში საქონლის გადამტან გადმომტან მატარებელს № 161 დახვდა ორი თათარი, დააპირეს იმ ნავთის ქვაბზე შეჯდომა, რომელზედაც იჯდა „ობერ-კანდუქტორის" ნაცვლად მიმავალი ბაგაჟნი კანდუქტორი ალექსანდრე დალაქაშვილი. დალაქაშვილმა წინააღმდეგობა გაუწია თათრებს და არ აძლევდა ნებას შეჯდომისას, მაგრამ მაინც ვერის გახდებოდა, შეუჯდებოდნენ და გაძარცვავდნენ კანდუქტორს, რომ ნობელის ზავოდის ქვაბს კარგი მოხდენილი ხელის მოსაკიდებელი და ფეხის დასაბიჯებელი რკინები ქონებოდა, ისე როგორც საზოგადოდ სხვა ქვაბებს და ვაგონებს აქვს. რა კი ვაგონს ისეთი ნაკლულევანება ქონდა, რომ ძნელი შესაჯდომი იყო მოძრაობის დროს, თათრები ვეღარ შეჯდნენ, მაგრამ რაკი მატარებელი ნელა მიდიოდა შეღმართში გამოეკიდნენ ფეხ და-ფეხ და დაუწყეს საწყალ დალაქაშვილს ცემა კეტებით, ბოლოს წაატანეს ხელი ნაპალზე და უნდოდათ გადმოეთრიათ ვაგონებიდან და გაეძარცვათ, მაგრამ გაჭირვებულმა კანდუქტორმა წაატანა ტორმოზის რკინას ხელი და ცოტა ხანს შეიმაგრა თავი, იმ დროს მატარებელმაც მიატანა იქვე ერთი პატარა ხევის ხიდზე და მაშინ თათრები შეშინდნენ, რომ მატარებელი ჩაგვკლამს ხიდშიო და გაუშვეს ხელი, რამაც უშველა დალაქაშვილ კანდუქტორს, თორემ უეჭველად მოკლავდნენ.

ამაზე ურიგო არ იქნება, რომ მიაქცევდნენ ყურადღებას ვისიც ჯერ არს.

ლ. გუბელი

---

## სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება

30 მაისს კრება გაიხსნა 1 საათზე წარმომადგენელთა რიცხვი სულ 210, მაგრამ პირველ კრებას დაესწრენ 104 კაცი.

კრების თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს აგრონომი თ. ი. ზ. ანდრონიკოშვილი. პირველი კითხვა აღძრა თ. ი. ჭავჭავაძემ, რადგან ახალი წესით გარეშე პირთ აღერძალებათ კრებაზე დასწრება, ბეჭვდის და გაზეთების წარმომადგენელნიც გარეშე პირებათ ჩავთვალოთ თუ მივცეთ ნება დაესწრონო. კრებამ, თანახმად თავმჯდომარის აზრისა, ერთხმად გადასწყვიტა, რომ გაზეთების წარმომადგენელნი დაესწრენ კრებას.

შეუდგნენ წლიური ანგარიშის განხილვას... წვრილმანი შენიშვნების შემდეგ ანგარიში დამტკიცდა.

შარშან მთელი შემოსავალი ყოფილა 314.558 მან და 57 კ.

დახარჯულა მთელი წლის განმავლობაში 82,201 მან და 35 კ.

ამ რიგით წმიდა მოგება ბანკს დარჩენია 232,357 მან. ამ თანხიდან საქველმოქმედო საქმებისათვის გადიდება 83,410 მან. 29 კაპ.

მეორე საგანი იყო ხარჯთ-აღრი
ცხვის განხილვა
წელს მმართველობა და ზედამხ
დველი კომიტეტი თხოულობ
13.610 მანეთით მეტს ხარჯს, ვ
ნემ შარშან.
ბანკის საქმეები გაძლიერდა
ხარჯიც მეტი დასჭირდებაო,
პირველი მოხსენება იყო ბანკ
თავმჯდომარეს თ. ი. ჭავჭავაძ
3000 მან. მაგიერ მიეცეს 5,40
მან. წელიწადშიო.
ბ. ი. ამირაგოვი. გთხოვთ აგვი
ხნათ, რამ გამოიწვია ეს მომატებ
თავ. ზ. ბატონიშვილი. წელს შ
სრულდა 25 წელი რაც ჩვენი ბან
კი დაარსდა. დაარსებითვე თა
ილია იდგა ამ ბანკის სათავეში
და თუ დღეს ეს ბანკი ასეთი გ
ძლიერებულია იმდენი მომავალ
გვაქვს, იმდენ ჩვენ ღარიბ ყმაწვ
ლებსა ვზდით და როგორც გაგ
წვდება ყველას ვეხმარებით, ყ
ველ ამისათვის მადლობელი უნ
ვიყოთ თავ. ილიასი! ჩვენც ამდ
ნი ხნის საკეთილო მოღვაწეობ
სათვის შეგვიძლია ის დავაჯილ
დოვოთ ამ მცირე ჯამაგირის მო
მატებით
თავ. გ. თარხნიშვილი. ეს მომ
ტება ყოველ-წლივ პენსია
უნდა მივცეთ, რომ სხვა კრებე
არ შეეძლოს იმისი გამორიცხვა
თავ. დ. ჯანდიერი. როდესაც კ
მიტეტში სჯა გვქონდა ამ საგა
ზე, პენსიაზე არა გვითქვამს რ
იმიტომ რომ 2,400 მან. სირცხვ
ლი იყო გვეხსენებინა. თ. ილი
ჯამაგირს მივუმატეთ ეს თანხა
როდესაც პენსიაზე ჩამოვარდე
საქმე მაშინ კრებამ იცის რამდე
საც დაუნიშნავს.
თავ. ნ. გ. არღუთინსკი. რასაკვი
ველია ეგრე! ეს ჯილდო უნდა
ლიოს თავ. ი. ჭავჭავაძეს სანამ
სამსახურში იქნება და როდეს
ის დააპირებს ჩვენ მიტოვებას
და ისე დაუძლურდება რომ
ღარ მოახერხებს წინანდელ
მხნეთ სამსახურს მაშინ, მე და
მუნებული ვარ ეს კრება იქნ
თუ სხვა დააფასებს თავ. ი. ჭ
ჭავაძის დიდი ხნის ღვაწლს ჩვ
ქვეყნის საკეთილ-დღეოთ და ღ
სეულათაც დაასაჩუქრებს.
ამ სიტყვებმა დიდი ტ
ცემა გამოიწვია და გა
წვიეს თავ. ილია ჭავჭავაძე
რე ოთახიდამ, მიეგებნენ ტ
ცემით და მადლობა გადაუხად
საგანი ასე გადაწყდა: დღე
დელ ოქმში ჩაიწეროს: ბან
თავმჯდომარის ჯამაგირი დაა
3000 მან., მაგრამ თავ. ილია
ჭავაძის 25 წლის მოღვაწეობ
თვის ყოველ-წლივ მიეცეს 24
მან. ზედ-მეტი სანამ ის სამსა
ში იქნება.

(შემდეგი იქნება)

# ა. ს. პუშკინი

(მოკლე ბიოგრაფია)

III *)

მართალია, ასე ურიგოდ ატარებდა პუშკინი თავის ცხოვრებას, მაგრამ თან დიდის თანაგრძნობით ადევნებდა თვალ-ყურს საბერძნეთის აჯანყებისა და მის განთავისუფლების საქმეს. პუშკინს მაინც ღრმად ჰქონდა გულში დამარხული გრძნობა თვისის მოწოდებისა, სიყვარული სამშობლოს ლიტერატურისა და პოეზიისა. ასეთ ცხოვრებას თუ მიეცა კიშინიოვში, მიეცა იმიტომ, რომ გაბოროტებული იყო, გულ-ამღვრეული და გულ-ჩახრეკილი. კაცის გული და გონება იქ იყო, ჩრდილოეთს, მისი ძვირფასი პეტერბურგსა და მოსკოვს ტრიალებდა, სალიტერატურო ცენტრებისაკენ ებრიცებოდა თვალი და ამავე დროს იძულებული იყო მთავრობის განკარგულებით კიშინიოვში მჯდარიყო. იქ, ჩრდილოეთად პოეტს ეგულებოდნენ მეგობრები, სხვა და სხვა ჯურის ნაცნობები. გულის-საყვარელი ამხანაგები, შეთვისებული და შეტკბობილი ძმები მწერალთა და მგოსანთა შორის; იქ ერთი ამბავი იყო ყოველ მის ახალ პოემას დაბეჭდვის შემდეგ, იქ გაცხარებული ბრძოლა იყო ახალის მწერლებისა გრეჩისა და ბულგარინის წინააღმდეგ, კაჩენოვსკისთანა და ცენზორ კრასოვსკისთანა და სხვებთანა, ხშირად საკუთრად მის ნაწერების გულისათვისა და ეს კი აქ, კიშინიოვში, იყო ჩაწყვდეული, დატყვევებული!

ამ დროინდელი მისი წერილები ერთი გაბმული ჩივილი და წუხილია, ამ განდევნილობით გამოწვეული. ისე წერილს არ წაიკითხავთ, რომ ათას რასმე არ ეხვეწებოდეს თავის ნაცნობებს და მეგობრებს: სულ უფრო ლიტერატურისას, სულ უფრო ახალ მწერლებისას, ამა თუ იმ პოეტურის ნაწერისას. თვითონაც აწვდის ამის ფონა ამბებს თავის ნაცნობთა და მეგობართა. მისი ურიგო ქცევა და ცხოვრება კიშინიოვში თითქო ჯიბრის საქმე უფრო იყო, ვიდრე თვით პუშკინის ბუნებისა. სხეთი მიზეზიანობა აეშალა უფრო იმიტომ, რომ ბოლო აღარ ეღებოდა მის განდევნას, პატივება ღორსად ხჩანდა და სამშობლოში დაბრუნების იმედი მისთვის ნაკლებად-ღა იყო.

მაგრამ მარტო ამით არ დახასიათდება მისი ცხოვრება კიშინიოვში. ბიოგრაფიების საყოველთაო აზრით, პუშკინი ამ დროს და შემდეგაც ორმაგის ცხოვრებით ცხოვრობდა, თითქო ორ არსებას წარმოადგენდა. ერთი პუშკინი იყო მოქეიფე, აბეზარი, მოყვარული სკანდალებისა, ფიცხი და დაუდგრომელი, ხოლო მეორე პუშკინი მშვიდი, მორცხვი, ნაზისა და მოყვარულის გულისა, დიდი მუშაკი გონებითა და გატაცებით მკითხველი წიგნებისა. ეს უკანასკნელი გარემოება იყო მიზეზი, რომ თან და თან დიდი ბიბლიოთეკა შეიძინა პუშკინმა და წიგნის შესაძენად არაფერს არ იშურებდა. ამ დროსვე, ესე იგი სამხრეთად ყოფნის დროს, განთავისუფლდა ნელ-ნელა პუშკინი ბაირონის ძლიერის გავლენისაგან და ნელნელა, ისე რომ თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, შეიქმნა ნამდვილი დამოუკიდებელი შემოქმედი და ეროვნული პოეტი, მტკიცედ დამყარებული ეროვნულს ნიადაგზე.

ამ დროს იქმნა დანიშნული ახალი გენერალ-გუბერნატორი სამხრეთ-რუსეთისათვის მ. ს. ვორონცოვი და პუშკინიც ოდესაში იქმნა გადაყვანილი, რადგან იქ იყო ახლა რეზიდენცია გენერალ-გუბერნატორისა ვორონცოვმა ახალი წესები შემოიღო სამსახურისა; პუშკინი ვერ შეეთვისა ამ ახალ წესებს. ვორონცოვმა გაჰგზავნა ერთხელ თავისი მოხელე პუშკინი კალიის საქმის გამოსაკვლევად და შესასწავლად სამხრეთის მინდვრებში. ვორონცოვს უნდოდა შემთხვევა მიეცა მოხელისათვის თავი ეჩინა და წინ წასულიყო. პუშკინმა კი ეს დაცინვად მიიღო და მასხრული რაპორტი მიართვა გენერალ-გუბერნატორს საქმიანის მოხსენების მაგიერ:

Саранча летѣла, летѣла
И сѣла.
Сидѣла, сидѣла,—все съѣла
И вновь улетѣла..

პუშკინს უფრო ისა სწყინდა, რომ ვორონცოვი იმის პოეტობას ყურადღებას არ აქცევდა და ისე უცქეროდა, როგორც მოხელეს. პუშკინმა ითმინა, ითმინა და ბოლოს დაუზოგველად დაუწყო საზოგადოებაში გმობა და მასხარად აგდებდა თავის უფროსს.

საყურადღებო წერილი, რომელიც მისწერა პუშკინის შესახებ ვორონცოვმა მთავრობას: პუშკინი ახლა უფრო კარგად იქცევა, ვიდრე წინადაო, მაგრამ მაგისი გადაყვანა აქედან საჭიროაო. აქ მეტადრე ზაფხულობით ბევრი ხალხი იკრიბება; მათ შორის მრავალია პუშკინის გატაცებული მოთაყვანე, რომელნიც უზომო ქებით სულ გადაჰრევენ ახალგაზდა ნიჭიერს კაცსაო; დაუბნელებენ გონებას ამ უზომო ქებით დააფიქრებინებენ, რომ ვითომ საოცარი მწერალია, მაშინ როდესაც იგი მხოლოდ სუსტის მიმბაძველია არა საიმისოდ პატივ-საცემის ორიგინალისა—ლორდ ბაირონისაო; მისი გადაყვანა სჯობიან ისეთ გუბერნიაში, საცა ასეთ მის უზომო ქებას, მეტადრე პირში ქებას, ადგილი არ ექნებაო. იმედი მაქვს, რომ ამ ჩემს მოხსენებას ისე არ მიიღებს მთავრობა, ვითომ ვაძაგებდე პუშკინსაო.

გრ. ყიფშიძე

(შემდეგი იქნება)

---



# სამეურნეო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

ოქროს ჩაის ვარდები (**СЪ РОЗОВЫМЪ ОТТѢНКОМЪ**) ათი.

| №. | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენ. | ვინ მოაშენა პირველად | სამშობ. ლო. |
|---|---|---|---|---|
| 1 | მარი ვანგუტ. | 1871 | დიუშე . . . | საფრ. |
| 2 | სუვენირ დე პოლ ნერონ. | 1881 | ლევე . . . | — |
| 3 | გრეს დარლინგ . . . | 1885 | ბენნეტ . . . | ინგლ. |
| 4 | მადამ ბრავი. | 1846 | გილიო. . . | საფრ. |
| 5 | მადამ დე ვეტევინ . . . | 1883 | გილიო-სინ . | — |
| 6 | იულიუს ფინგერ . . . | 1879 | ქვრივი დიუშე | — |
| 7 | დიუშეს ოფ ედინბურგ . . | 1874 | ნაბონნანდ. . | — |
| 8 | კატერინ მერმე . . . | 1870 | გილიო-სინ . | — |
| 9 | სუვენირ დიუნამი . . . . | 1846 | ბალო დე ფანჯერ. . . . | — |
| 10 | მადამ დე ვატრი . . . . | 1855 | გერენ . . . | — |

წითელი და მუქ მოწითალო ჩაის ვარდები ათი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | რენ მარი ჰენრიეტტა . . | 1878 | ლევე . . . | საფრ. |
| 2 | ანდრე შვარც. | 1883 | შვარც . . . | — |
| 3 | სუვენირ დე ტერეზ ლევე . | 1882 | ლევე . . . | — |
| 4 | ალფონს კარ . | 1878 | ნაბონნანდ . | — |
| 5 | მადამ ლომბარ | 1877 | ლაშარმ . | — |
| 6 | იულის ფინგერ. . . . | 1879 | ქვრივი დიუშე | — |
| 7 | დიუშეს ოფ ედინბურგ . . | 1874 | ნაბონნად . | — |
| 8 | კატერინ მერმე . . . . | 1870 | გილიო-სინ . | — |
| 9 | სუვენირ დიუნამი . . . . | 1846 | ბალო დე ფუჯერ. . . . | — |
| 10 | მადამ დე ვატრი . . . . | 1855 | გერენ . . . | — |

ოქროს რემონტანტური ვარდები ათი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | მერველ დე ლიონ . . . | 1882 | პერნე . . . | საფრ. |
| 2 | ბულ დე ნეჟ. | 1867 | ლაშარმ . . | — |
| 3 | მაბელ მორისონ . . . | 1878 | ბრუგტონ. . | ინგლ. |
| 4 | ელიზა ბელლე | 1869 | გილიო. . . | საფრ. |
| 5 | იმპერატრიცა ევგენია . . | 1858 | ავუ-და-კროზი . . . . | — |
| 6 | კოკეტ დე ბლანშ . . . | 1867 | ლამარმ. . . | — |
| 7 | უაიტ ბარონეს . . . | 1883 | პაულ-სინ . . | ინგლ. |
| 8 | მადამ ნომან . | 867 | გილიო. . . | საფრ. |
| 9 | ბარონ დე მაინარ . . . | 1865 | ლაშარმ . . | — |
| 10 | ლუიზა დარზანს . . . | 1861 | — | — |

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 მაისი.

**პეტერბურგი**. მიღებულ იქმნა დაგვიანებული დეპეშები პუშკინის დღესასწაულის გარდახდის შესახებ უფიდგან, ბოროვიჩიდგან, ორლიდგან სარატოვიდგან და სხვა ადგილებიდგან.

**პარიზი**. პალატა. დეშანელმა სთქვა, იტალიის პალატის პრეზიდენტისაგან დეპეშა მოვიდა, რომლითაც პალატა თავის მწუხარებას გვიცხადებს ოტელში მომხდარ მანიფესტაციების გამო (ხანგრძლივი ტაშის ცემაა). ლაზის უნდოდა შეჰკითხებოდა პალატას დელკასეს მიერ პანიცარდის დეპეშის გამო წამოთქმულ სიტყვების შესახებ. დელკასემ განაცხადა, რომ პანიცარდის დეპეშის თარგმანი (ეს დეპეშა გადმოთარგმნილ იქმნა 40 დღით ადრე დრეიფუსის პროცესამდე) არავის შეუცვლიაო. ლაზის მიერ აღძრულ საგნის განხილვა ერთის თვით გადასდეს.

**პარიზი.** პალატამ დაამტკიცა სენატის მიერ შეწყნარებული პროექტი, რომლითაც სამხედრო სასამართლოში მიცემულ ბრალდებულთა ნება ექნებათ მიიწვიონ ვექილი პირველ დაწყებით გამოძიების დროს.

**ლონდონი**. მოლაპარაკებამ ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტთან უნაყოფოდ ჩაიარა. ჟურნალ-გაზეთები თხოულობენ, რომ მთავრობამ ტრანსვაალის წინააღმდეგ ენერგიული ზომები მიიღოს.

28 მაისი

**პარიზი**. რუსეთის ელჩის თავადის ურუსოვის თაოსნობით, საელჩოს ეკკლესიაში დღეს გარდახდილ იქმნა წირვა პუშკინის ასის წლის იუბილეის გამო. დაესწრნენ ელჩი, საელჩოს წევრნი, რუსეთის ახალშენლები.

**პარიზი**. დიუპუის და კრანცს გენერალ ცურლინდენთან და პოლიციის პრეფექტთან თათბირი ჰქონდათ და მიღებულ იქმნა ღონისძიებანი მომავალ კვირას წესრიგის დასაცველად.

**პარიზი**. გამამტყუნებელმა პალატამ დაადგინა, დროებით განთავისუფლებულ იქმნას სატუსაღოდგან პიკარი

**სტამბოლი**. ოსმალეთის მხრივ ამტკიცებენ, რომ პრილეპში მომხდარი ამბები ბოლგარელთა ბრბომ გამოიწვიაო. სულთანმა ბრძანა გააგებინონ დიმიტრიევს, რომ ამ ამბების შემდეგის პასუხის მგებლობა ბოლგარიის მთავრობამ უნდა იკისროსო.

29 მაისი

**პეტერბურგი**. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: ხელახლა ნება მიეცეს გაზეთ „ნაროდ“-ის ცალკე ნომრობით გაყიდვისა.

**კარაკასი**. აჯგილობრივი რევოლიუცია ასტყდა ანდების შტატში.

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) Коммерческой ариѳметики (банковыя и торговыя операціи),
3) Ариѳметики на счетахъ.
4) Коммерческой экономіи,
5) Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеній**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣсяца.

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VП отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.** (100—25)

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ для самообразованія

# МІРЪ БОЖІЙ

VIII-й г. изд. — VIII-й г. изд.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и припомъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія предполагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. Вербицкой; «Рыштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артурса путевые очерки), Н. Гарина: «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разк.- Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горькаго; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разсказы г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія**. «Антропологическіе очерки» проф. Бранлта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; «Чарльзъ Парнель», Ев. Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», часть Ш. П. Милюкова. «Александръ 1 и его время».А. Прѣсякова: «А. С. Пушкинъ (юбилейная статья) Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иванова; «Ала Негри», В. Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доп. М. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Кржививкаго; «Положеніе труда въ Англіи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ и эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, ея настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной философіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джонъ Рескинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, техники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайныхъ обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ западной литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Текущія научныя новости. Библіографія. Новости иностранной литературы.

## УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на годъ 8 руб. о всѣ
Безъ доставки на годъ . . . . . . 7 »
За границу на годъ . . . . . . 10 »

Вмѣсто разсрочки допускается подписка:

**По полугодіямъ;**

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р.
За границу . . . 5 р.
Безъ доставки по соглашенію съ конторой

**по третямъ года:**

Съ доставкой и пересылкой въ города Россіи;
въ январѣ . . . . 3 р.
» маѣ . . . . 3 р.
» сентябрѣ . . . 2 р.
За границу: въ январѣ 4 »
» » » маѣ . . 3 »
» » » сентябрѣ . . 3 »

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку безъ повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова*. Редакторъ *В. П. Острогорскій*

!!მიაქციეთ ყურადღება!!

# ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობორის გვერდზე.

**იმემეთ ჩაი** პირველი მოკრეფისა 1898 წლისა მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად** და **პარტიობით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და სოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენთან იმას

საჩუქრად მიეცემა **ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—30)

# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на ГАЗЕТУ **„РОССІЯ“**

| | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — |
| На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

### ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невскій № 86).

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ— третямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужащіе же могутъ обращаться съ свои заявленіями въ С. Петербургѣ (Невскій № 86).

За перемѣну адреса уплачивается 40 коп. Отдельные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.

### ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІЙ:

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 к. позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. до 6 часовъ пополудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до ... часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно отъ 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны быть за подписью и съ адресомъ автора, безъ чего онѣ печатаемы не будутъ. Статьи, доставляемыя безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи не возвращаются.

### завѣдуютъ отдѣлами:

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А. В. Амфитеатровъ.
3) Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраннымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А Рубинштейнъ.
7) Художественнымъ: И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А. Н. Чермный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. Д. Б...ляевъ.
11) Московскимъ: В. А. Гиляровскій.

Общественный фельетонъ—по воскресеньямъ— Old Gentleman.

Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.

По средамъ печатается «Милліонеръ» повѣсть В. Г. Авсѣенко.

Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетневъ.

Корреспондентъ въ специальной командировкѣ по неродным мѣстностямъ Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ).

Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ, Софіи, Константинополѣ, Одессѣ и т.

(8—4)



Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Юня 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) გ. ტფილისი), რედაქტორ-გამომცემელი ზ. ...